გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 24

2018 წლის 09 თებერვალი
ქ. გორი

ახალგაზრდული ინიციატივების/პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების

პროგრამის დამტკიცების შესახებ

ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება საქართველოში იძენს ახალ სახეს, ევროპის განვითარებულ ქვეყნების ნაბიჯების აყოლის მიზნით აღნიშნულ დარგში მნიშვნელოვანია თვითმმართველობის პროცესებში საზოგადოების ინტენსიური ჩართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე ევროსტანდარტების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ფოკუსირება ხდება ეგრეთწოდებულ „ოქროს სამკუთხედზე", რაც გულისხმობს ახალგაზრდების მიერ დაგეგმილი და არასამთავრობო სექტორის (დაინტერესებული) მიერ მხარდაჭერილი/წარდგენილი პროექტების ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფით განხორციელებულ პროექტებს. აღნიშნული სისტემა ასევე ორიენტირებულია ახალგაზრდების ჩართულობის უმაღლესი საფეხურის დაკავებაზე (ახალგაზრდების ჩართულობის კიბე), რაც ახალგაზრდების როლს ზრდის ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამგვარად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები არის როგორც ხარისხობრივი, ასევე ფინანსური კუთხით მოქნილი და ეფექტური.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დამტკიცდეს ახალგაზრდული ინიციატივების/პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ახალგაზრდული ინიციატივების/პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა თანდართული №1 დანართის (თან ერთვის სამ ფურცლად) შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე

GEORGIA. GORI MUNICIPALITY ASSEMBLY
21808087

დავით რაზმაძე

დანართი №1

ახალგაზრდული ინიციატივების/პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ახალგაზრდული გარემოს გაუმჯობესება

პროგრამის დასახელება:

ახალგაზრდული ინიციატივებისა /პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

04.03

პროგრამის განმახორციელებელი:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (ახალგაზრდული განყოფილება)

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2018 წლის იანვარი -დეკემბერი

პროგრამის აღწერა:

ახალგაზრდული პროგრამების/პროექტების თანადაფინანსება - ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება საქართველოში იძენს ახალ სახეს, ევროპის განვითარებულ ქვეყნების ნაბიჯების აყოლის მიზნით აღნიშნულ დარგში მნიშვნელოვანია თვითმმართველობის პროცესებში საზოგადოების ინტენსიური ჩართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე ევროსტანდარტების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ფოკუსირება ხდება ეგრეთწოდებულ „ოქროს სამკუთხედზე", რაც გულისხმობს ახალგაზრდების მიერ დაგეგმილი და არასამთავრობო სექტორის (დაინტერესებული) მიერ მხარდაჭერილი/წარდგენილი პროექტების ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფით განხორციელებულ პროექტებს. აღნიშნული სისტემა ასევე ორიენტირებულია ახალგაზრდების ჩართულობის უმაღლესი საფეხურის დაკავებაზე (ახალგაზრდების ჩართულობის კიბე), რაც ახალგაზრდების როლს ზრდის ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ გვარად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები არის როგორც ხარისხობრივად ასევე ფინანსური კუთხით მოქნილი და ეფექტური.

დამატებითი ინფორმაცია:

პროექტების თანადაფინანსების პროცედურა განხორციელდება:
ა) გორის მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსება არაუმეტეს 80 % განხორციელდება მხოლოდ კონკრეტული პროექტის შინაარსისა და ბიუჯეტის განხილვის შემდეგ.
ბ) გორის მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსება განხორციელდება იმ ორგანიზაციების, რომლებიც კონკრეტული პროექტის განხორციელებისათვის ასევე მიიღებენ დაფინანსებას/თანადაფინანსებას დონორი ორგანიზაციებისაგან ან თვითონ იქნებიან დონერები.
გ) გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსების თანხის გადარიცხვა მოხდება გორის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი კონკრეტული პროექტის განხორციელების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
დ) გორის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ ახალგაზრდულ პროექტებს განიხილავს შესაბამისი სამსახური,

ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა და თანადაფინანსება - პროგრამა ასევე ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობას, დაფინანსების და თანადაფინანსების კუთხით, ადგილობრივი ბიუჯეტის გონივრულ ფარგლებში მათი პიროვნული განვითარების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენას (თანადაფინასების სახით).
თანადაფინანსება განხორციელდება: ბენეფიციარის საერთშორისო გაცვლით პროგრამებში, კონკურსებში, იმიტირებული აქტივობებში, შემეცნებით ბანაკებში, ტურებში, სემინარებსა და ტრენინგებში, კონფერენციებსა და ფესტივალებში მონაწილეობისათვის, როგორც ჩვენი ქვეყნის ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

საერთაშორის ან რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა აქტივობებში წარმატების მიღწევისათვის დაფინანსების ფორმად განისაზღვრება:
ფულადი ჯილდო, სტიპენდია, ფასიანი საჩუქარი, საგზური, სერტიფიკატი/სამადლობელო სიგელი.
დაფინანსება/თანადაფინანსება განხორციელდება კონკრეტული ბენეფიციარის მიერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

დამატებითი ინფორმაცია:
ნიჭიერი ახალგაზრდების თანადაფინანსება:

ა) გორის მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსება არაუმეტეს 80 % განხორციელდება მხოლოდ კონკრეტული საკითხის, მისი ბიუჯეტის განხილვის და დადებითად შეფასების შემდეგ.
ბ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, თანადაფინანსების თანხის გადარიცხვა მოხდება გორის მუნიციპალიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმეტაციის განხილვის და დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში.
გ) გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განაცხადს (თანადაფინანსების მიღებას) განიხილავს ახალგაზრდული განყოფილება, კურატორი სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე,

დ) მოთხოვნის განხილვის დადებითად ან უარყოფითად შეფასების შემდეგ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს, საკითხის განხილვის პროცესში ჩართული ყველა პირი (განყოფილების პირადი შემადგენლობა, სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე),

ე) თანადაფინანსების შემთხვევაში მიმღები პირი ვალდებულია წარმოადგინოს მუნიციპალიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

პროგრამის საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი, მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური მხარდაჭერით დაფინანსებული/განხორციელებული ახალგაზრდული პროექტების ზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც რაოდენობაზე ასევე ხარისხზე საბოლოო შედეგს მოგვცემს, როგორც ახალგაზრდების ინტელექტუალურ განვითარების კუთხით ასევე ახალგაზრდებში გაზრდის პროფორიენტაციის მხარდაჭერას და გარკვეულ წილად შეუწყობს ხელს ახალგაზრდებში კრიმინალის პრევენციას.

დამატებითი ინფორმაცია:

ახალგაზრდული - პროგრამა ორიენტირებულია მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალგაზრდებზე ან უნდა ხორციელდებოდეს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ატარებდეს ახალგაზრდული პროგრამის ხასიათს. ორივე შემთხვევაში პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას და თემატურად უნდა ითვალისწინებდეს გორის მუნიციპალიტეტის თემში რეგისტრირებული ახალგაზრდების ინტერესებს